

კარი ერთოსელი

კოლეგი
ფსალმუნი

100-ტომეული




გამომცემლობა „კნივერსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

კუსა ექისტელი



კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

კუკა ეჭილელი



კოლეური
ფსალმუნები

ტომი 85

2020



მთ. რედაქტორი

აკოლონ გადაღია

იურიდიულ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი, საქარ-
თველოს მწერალთა, მეცნიერთა
და საზოგადო მოღვაწეთა
საერთაშორისო აკადემია
„ქალდეა-საქართველო“-ს
ვიცე-რეზიდენტი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „ანიშაული“, 2020

თბილისი, 0186, ა. აოლიბაოვისაძის №4, ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-892-2 (85 ტომი)



* * *

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირნება-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსლოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინისა“ გამოსცემის ვაშა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუტი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიდის არენისგის ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმერანის გედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, შვაიცარიის წარმომადგრინის დარგის და მეცნიერების მუნიციპალიტეტის, სახალხო კოეფის, საქართველოს მეცნიერთა მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს კონფერენციის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთა-სამცნეომრო კაპადემიის ვიცე-კონფერენციის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული „კოლეჯ-რი შასლაშვების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემ-ლობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდი-ანი, უბადლეს კოლიბრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიურულს გამოვიდა „კოლეჯი შასლაშვების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასისური კოექტის ათომობუ-ლი, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოე-ლი კოექტების, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე და კანკისყრით ერთ-ხეად აირჩია აგავე კადემიის 30ხვ-კარეზილენტი, ცხობილი კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის დესანტი, „კოლეჯი შასლაშვების“ 100-ტომეულის აპტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროვესორი ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მუხრალი) და ორი ვაქიტვილი ზრუბი და დაჩი (ორივა იურისტი) და სამი მკლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხევ შვილია (შვილი ქმა და ორი და).





პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვის რომ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, რომ აზანზარებს ჩემად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შალმუნე-ბის“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარვდავ და... დღეს ძვეშის ბასაბონად ხბამაღლა ვაცხადებ: ვა-შა მცირებული არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეცს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმის ჰალაში მდგა-რი მუხაა, რომელსაც ოქროს სამზისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედვასთან ერთად რომ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმოწის, აიეტის ხელი დარ-ბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპები, კოეჭმა ოქროს სამზისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შალმუნების“ იგავითვალებრივი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვის ნაცარიმიყრილი, არა მარ-ტო კოლხეთის, არამედ მიღროინდებლი სამყაროს ოცდათოთხმე-ტებ მეტ საუკუნევანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძვეშის, არც ერთი კალმოსანს არ გაუკითხავა.

100-ტომეული... ძვეშის გაჩენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...

კოსმოსში კი...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრიპისა და სიძულვილის გვე-ლუშაპი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

გულახ ხარაიზვილი

კოეჭი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„ბულეტიგად შესვები ყოველ ძველს, ყოველ ძაბნელს.“

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მაბიერ

(გაგრძელება)

მე ვერ გავბედავ იმის თქმას რომ, როგორც
პოეტი, დვთაებრივი მოვლენა ხარ, მაგრამ ჩემს
წარმოდგენაში ძალიან, ძალიან დიდი ხართ –
თქვა მორიდებით გოგონამ და უმალვე სიმღერა
წამოიწყო:

„... კა, რამდენი წელი გავიდა,

რომ სიყვარულით ვიღაც მებახის“.

– მერე, შენ? შენი გული როგორ პასუ-
ხობს? – შეეხმიანა ნიავი. გოგონამ დამორცხვე-
ბით თქვა:

– დიდი ხნის ნაფერები სიყვარულით მიყ-
ვარს, მაგრამ ნაცვლად იმისა მე მიყუროს, სულ
მიწის წიაღში იყრება დაფიქრებული, ნეტავ მა-
ცოდინა რაზე ფიქრობს?



— იქნებ... „წიწამურში რომ მოჰკლეს იღია,
მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“... ამან ხომ არ დაა-
ფიქრა? მოისმა ხმა იდუმალი.

„მწუხარი მწუხარე ზარების რეკვით,
ვითარცა გზირი ჩამოდგა სოფლად და გაი-
ლურსა,

გზას მიაპყრო თვალები სველი.
მერე, როდესაც წიწამურთან იქუხა თოვმა,
შეკრთა და გულზე საქართველომ იტაცა
ხელი“.

უოველ ამ სისხლიან 30 აგვისტოს, უოველმა
ქართველმა ფეხით უნდა გაიაროს ეს გზა თბი-
ლისიდან წიწამურამდე. იღიას უკანასკნელი
გზა, ანუ „ვია დოდიროზა“ საქართველოსთვის.
ამ დღიდან საქართველო ახალი საისტორიო სა-
მანიდან იწყებდა ცხოვრებას. იწყებდა უილიაოდ
(ლ. სანიკიძე).

— ბრავო, თქვა და ტაში შემოჰკრა პოეტმა
— გაუა ეგრისელმა, იგი აღაფრთოვანა გოგონას
საუბარმა, მისმა აზროვნებამ.

— რამ გაგაცვირვათ? ლიმილით შეეკითხა
გოგონა.

- 
- ასეთმა პატარა გოგონამ ამდენი საიდან?
 - ქათინაურები არ დაიშურა პოეტმა.
 - მედიცინაში დამტკიცებულია, რომ ბავშვი ჯერ კიდევ დედის საშოში ყოფნისას აღიქვამს ხმებს. მას განუწყვეტლივ ესმის დედის ხმა. მეც კარგად გავიგე იმ ოქროს ბადის მნიშვნელობა, რომელიც ოცნებით ზღვაში გადმოაგდე. მე იმ ბადეში, ზღვის ტალღებს შორის გავიზარდე და შენი სიყვარულით დავიტვირთე.
 - შენი აღზრდა, ფილიპესავით, მშობლებმა სხვას მიანდეს? – ღიმილით თქვა პოეტმა.
 - ვინ არის ფილიპე?
 - ფილიპე, მაკედონიის მომავალი მეფე იყო და ალექსანდრე მაკედონელის მამა გახლდათ.
 - ჰო, ჰო, ვიცი, გამახსენდა, ფილიპემ თავისი შვილის აღზრდა სწორედ არისტოტელეს მიანდო. მართალია, მე შვილი არა ვარ, მაგრამ ჩემი ბავშვური სიყვარულით უნდა მოგენდოთ, – თქვა და აქვითინდა.
 - ამდენი ხანია ქსაუბრობთ... – დამენახეთ მაინც – აღელდა პოეტი. მიბრუნდ ზღვისკენ და რას ხედავს?! – ზღვის ტალღამ ყოველგვარი



ღელვის გარეშე ნაპირზე ამოიყვანა ფერიასავით
ლამაზი ასული.

— ვაჟამ, ხელი გაუწოდა და აღიქვა ის გო-
გონა სიყვარულად და შეიქმნა ოჯახი.

ახალი ცხოვრება დაიწყო რომელსაც სიყვა-
რული, სიხარული და გამრავლება ჰქონდა. ქვეყა-
ნას მოევლინა სიყვარულის ნაყოფი პირველი
შვილი, პირველი პირმშო, სახელად ზურაბი, შემ-
დეგ მას მოჰყვა დაჩი. პოეტი თვალებგაბრწყინე-
ბულია და როგორც არასდროს დიმილი გადაკ-
რავს სახეზე.

თუმცა დიმილი ყოველთვის როდი გამოხა-
ტავს ადამიანის სულიერ მდგომარეობას, მაგრამ
ამ შემთხვევაში პოეტი, როგორც ახალგაზრდა
მამა გაცისკროვნებულია სიხარულისაგან, რო-
მელსააც მეუღლის სიყვარული ამშვენიერებს და
ალამაზებს.

ამაზეა ნათქვამი: სიყვარული სიცოცხლეს
ამშვენებსო —

„დადის პოეტი დედამიწაზე,
თესაგს სიკეთეს
და სიცოცხლის მადლი იტაცებს.
სიყვარულია მისი საგზალი,



ლექსთა მტრედებივით ამ სიყვარულს
ყველგან აგზავნის“.

ვაჟა ეგრისელი, როგორც მეუღლე, მამა,
ხშირად ფიქრობდა – ალბათ, დედა-შვილის სი-
ყარულში არის ისეთი რამ, რაც ამ გრძნობას
განსაკუთრებულ ძალას აძლევს? რომელიც არა-
ვითარ კანონს და წესს რომ არ ემორჩილება,
ამიტომ დგას ყველაზე და ყველაფერზე მაღლა.

უძაგეთ დედას ყოვლად არამზადა და
წყალწალებული შვილი და ოუ არ დაგეთანხმე-
ბით, არ გაგიკვირდეთ. მან იგი რომ სიკეთის,
სათნოებისა და ბედნიერებისთვის შვა, და მას
ისეთს ხედავს, როგორიც უნდოდა რომ ყოფი-
ლიყო. დედა იყო და მას არ შეეძლო, ცხრა თვე
მუცლით ეტარებინა ავაზაკი. არ შეეძლო ტან-
ჯვით ეშვა ბოროტება, თეთრად ეთენებინა დამუ-
ები არამზადისთვის და რისთვისაც შვა და გა-
ზარდა იმად ესახება, ჩვენ ვხედავთ ავს ავად და
კარგს კარგად და ვამბობთ ვინ ვინ არის. რაკი
არაფერი გვენალვლება, გარდა სიმართლის
თქმისა, მაგრამ ის ყველაფერზე მაღლა დგას
და ყველაზე საუკეთესო თვისებებს ატარებს!



— დედისათვის შვილია საზომი მშვენიერებისა და არა ის, რომ კიღაცა სხვამ სხვაგვარად დაწერა... (ოტია იოსელიანი).

— რაზე ფიქრობ, მიესიყვარულა მეუღლე ვაჟას.

— დედაშვილობაზე. აიღე და წაიკითხე, სასარგებლოა ყველა დედისა და შვილისათვის, შენ კი ჩემი ორი არწივის დედას ლექსი მოგიძლვები.

„ჩვენი ბარტყებია —
არყოფნის ბუდიდან,
ფიქრით და ოცნებით ანაფრენი,
ჩვენს შორის —
სიცოცხლედ რომ დგანან,
ჩვენი სიყვარულის,
ჩვენი აღმაფრენის
ნაყოფი არ არის განა?“

მერე აიგანზე გავიდა, გადახედა სივრცეს და სადღაც შორს, პორიზონტს იქით, მისი სოფელი, მეგრული ლამაზი ოდა, დედ-მამა, და-ძმანი ოცნებაში დაინახა.

„თითქოს სოფელში ვიყავი და...
უკუქცეული



ბინდი შუკებში უხმოდ ქრებოდა.

მოხველ, ვით წინათ

შემისწორე თავსასთუმალი.

გამომეღვიძა...

დედა,

ყოფნა არ იქნებოდა,

რომ აღარ იყო ჩემი სიზმრის

ხშირი სტუმარი.“

პოეზიაში ღრმად გაცნობიერებული, თავის
თავში დაჯერებული, სამყაროში კარგად ჩახე-
დული პოეტი კოლხური სიამაყით ამბობს:

არც ოქრო, არც ვერცხლი, არც ფული,

არ გშველის... შურში ხარ ჩაფლული...

და აღმოგაჩინონ, ვით ტროა,

დროა, პოეტო, დროა.

ტანჯვისაგან მხოლოდ მაშინ განვიკურნე-
ბით, – ამბობს იგი – როცა მათ ბოლომდე გან-
ვიცდით. პოეტის განცდები ნათლად ჩანს, როცა
ამბობს:

„მე ისევ ვდარდობ დედამიწას –

მოქსოვილს გზებით...

და ცას – მზის კერას.



ჩემი სურვილი კვლავ ზის რწმენის – ლამაზ ბუდეში

და გასაფრენად სივრცეებს ზვერავს.“

ვაჟა ეგრისელი დარდიანია, მაგრამ მომავლის რწმენა არასდროს დაუკარგავს, რადგან იცის ხშირად უბედურებას, ბედნიერება მოჰყვება. სევდას – დიმილი, დაღმართს – აღმართი. მან მშვიდობის მტრედივით ყველაფერს გადაუფრინა სიყვარულის, ლექსის, გრძნობის სახით და სპეტაკი თოვლის ფიფქებად მოეფინა გარემოს, – მოისმა ხმა ზეციდან.

ამის გაგონებაზე ზღვის ტალღებიც აზვირთდნენ, ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ვინ უკეთ შეასხამდა ხოტბას პოეტს და ამას ხმაურით გამოხატავდნენ.

„ნამდვილი შემოქმედებითი ასპარეზია ქართული სუფრა, იგი მრავალფეროვანია, მან ქართველ პოეტებს და მწერლებს კი არა გერმანელ კარლ ანდეას ნიცშეს ათქმევინა:

„ვიხილე ხალხი კეთილი, ბრძენი,

„ვეფხისტყაოსნის“ გმირმა მატარა...

ვცადე, შემეცნო სიმაღლე შენი



და მე აღმოვჩნდი მეტად პატარა“.

საქართველოსთან ყველა სხვა, თუნდაც ვე-
გბერთელა იყოს ის, მაინც პატარაა, რადგან მი-
სი დიდი წარსულით მას წინ ვერავინ დაუდგება,
თუნდაც „... ჯოხს დაყრდნობილი მოდიოდეს სი-
ბერე საქართველოსი“. რადგან საქართველოს
უკან მოდის ურიცხვი, ჯანსაღი ახალგაზრდობა
— იყო თქმული ზეციდან.

— სწორია, სწორი, კვერი დაუკრეს ზღვის
ტალღებმა, ბუნებას პოეტიც შეეხემიანა;

„ჩემს ყევარ ბიჭებს, —

ზურაბ და დაჩი

მე ახლა მხოლოდ თავისუფლად

სიარულს გაჩვევთ,

ვით გაუხედნავ —

თვალსაცერა

პატარა ბუდებს,

მაგრამ სულ მალე დიდსა და მძიმეს,

მე საქართველოს სიყვარულის დაგადგამთ
უდელს,

აბა,

თქვენ იცით, თუ როგორ გასწევთ!



მხოლოდ თავისუფლად სიარულს გაჩვევთ?
წინასწარმეტყველური ნათქვამი გამოდგა ქარ-
თველი ერისთვის.

ეი, ქართველებო, — დაიძახეს ვარსკვლავე-
თიდან — ნუ დაგვავიწყებ, გახსოვდეთ ერსა და
ბერს —

— სიჩუმეში განისვენებს

კრწანისის ველი, —

სამასი წლის წინ

რომ გამოჭრა

ღალატმა ყელი“...

ამის გაგონებაზე შხაპუნა წვიმა წამოვიდა,
რათა გადაერეცხა ღალატის ნაკვალევი და მის
ნაცვლად ერთგულების მწვანე ბალახი ხელახ-
ლა აბიბინებულიყო.

— ეს მომწონს, — განაცხადა მთავრემ და
წყვდიადი გაანათა. ხალხის განწყობაც საკმაოდ
შეიცვალა უკეთესობისკენ. გარემო ახმაურდა და
აურიამულდა, მაგრამ პოეტი ოცნებით, თავის
ცოლ-შვილთან ერთად შავი ზღვის ფსკერზე აღ-
მოჩნდა.

საოცარი სანახაობა წარმოუდგა თვალწინ
— ჩაძირული დიოსკურია ძველებურად ლამაზად



გამოიყერებოდა, ქალაქს სიმშვენიერე არ და-
კარგოდა, მაგრამ საზარელი სანახაობა ის იყო,
რომ ქუჩები ადამიანის ჩონჩხებით იყო სავსე.

„დიოსკურია!

წუხილის და სევდის მომტანი –

შოორეული ქრიან ქარები...

და ზღვის სიღრმეში –

ტალღა კი არა,

სული ტორტმანობს

ჩემი წინაპრის

და მე ახლოს არ მეკარება.“

– მამა, რა უბედურებაა ეს? – პკითხეს შვი-
ლებმა.

– მეჩვიდმეტე საუკუნეში შვილებო, კოლხე-
თიდან უამრავი შერჩეული ახალგაზრდა წაიყვა-
ნეს გემით და განა მარტო კოლხეთიდან? უმრავ-
ლესობა, თავისი სურვილით ზღვაში ვარდებოდ-
ნენ, რათა თურქეთში არ წასულიყვნენ. ერჩივ-
ნათ, თუნდაც ჩონჩხებად, მაინც აქ დარჩენილიყ-
ვნენ. ნახეთ, შვილებო, ჩვენი წინაპართა დიდი
წარსული აქაა. – ნაღვლიანად უთხრა ვაჟა მგ-
რისელმა შვილებს.


— ბავშვები — ჩვენი ნუგეშია, — ჩაჩურჩულა
ვაჟამ მეუღლეს და ხელი მოხვია.

— ბავშვები სიცოცხლის საუკუთესო ნაწილია — იყო პასუხი.

— ჰო, ასეა ასე, მაგრამ ჩვენი შვილები ბავშვები კი არა უკუ დიდები არიან, საცაა სიყვარულით დატკბებიან.

— მამა, მართალია, არც უმაგისობა იქნება.

„ო, რა ლამაზად ჩანს ყველაფერი

შეყვარებული ბიჭის ოვალებით“. —

უთხრა მამა, მაგრამ შვილებო, ცხოვრებაში ხშირად ყველაფერი ლამაზად არ ხდება. ცხოვრება რთულია, იგი კიბეს პგავს — ზოგი ადის, ზოგი კი ჩამოდის, მთავარია, ფეხი არ დაგიცურდეს.

— მამა, ახალგაზრდობაში ფეხი ხომ არ დაგცურებია ხოლმე? — გაეხუმრნენ ბიჭები.

— ვაჟა ეგრისელმა თავისებურად ჩაიღიმი და შვილებს უთხრა: კაცობაში ჯერჯერობით ფეხი არსად დამცდენია, თქვენც მომბაძეთ. ზღვის ტალღამ პოეტი, თავისი ოჯახით, ისევ სამზეოზე ამოიყავნა. აღფრთოვანებულმა მამამ



ბიჭებს ხელები მოხვია, თვალებში დრმად ჩახედა და ორივე გულში ჩაიკრა.

— ნეტავ რას ეძებდა იგი შვილების თვალში? — პკითხა ნიავმა ვარსკვლავს.

— ალბათ „მრავალუამიერს“, „ოდოიას“, „აუჩხიბედინერს“, „ვოისას“, „შენ ხარ ვენახს“, „ურმულს“, „ჩელას“, „ჭიჭე ტურას“, საუკუნეებით მხრებით ნაზიდს და დღემდე მოტანილს — იყო პასუხი. პოეტი ოცნებაში ისევ მარტოკა, ზღვის ნაპირზე დარჩა, მაგრამ შვილებს მაინც შეეხმიანა, როგორც თავის სამშობლოზე უზადოდ შეუვარებული.

„ღმერთმა ნუ ქნას და,
სამშობლოს მთა
ნისლს თუ მოიხვევს
და თუ ღრუბელმა
იმედის მზე ცით განდევნა,
მაშინ ზურაბი —
მამულის მტერს დახვდება
ცაზედ,
ხოლო დაჩი კი —
ციტადელად“.



ღმერთმა ნუ ქნას რომ ღრუბელმა იმედის
მზე ციდან განდევნოს – ის იყო გაიმეორა თა-
ვისთვის, რომ უცებ ზღვის ტალღამ, ვითომ ხუმ-
რობით, თავისი შეფეფი შეასხა პოეტს. სიჩუმის
კენწეროებზე მსხდომი ვარსკვლავები კი ღიმი-
ლით უყურებდნენ ზღვის ტალღებზე მოტივტივე
ვარდის ეკალისა და პოეტის შეხვედრას.

„მიწით ნაშობი

და ცით ნაზარდი

სად არის იგი სიყვარული –

პირველყოფილი?!“

ჩაილაპარაკა პოეტმა და ხედავს საოცრად
ლამაზი ყვავილი აღმოცენდა მის წინ.

„ჰა, ის ადგილი სადაც ვიჭერდი –

ციცქა ღორჯოებს და ჩურპატანებს.

ყვავილო! ღელის

მღვრიე დინებას

თურმე სიყრმე და სიხარული თან

გავატანე“.

– მე ყვავილი ვარ!

– აბა, ვინ ხარ? – შეეკითხა გაკვირვებული
პოეტი.

– ცირა!..



— ცირა?! გაიმეორა და წამოვარდა ზეზე
ცირა, დამენახე.

„დღითა და დამით

შენი შემყურე

კვლავ მივსდევ მნათობს.

ჩემი სიყვარულია —

მზე —

ასე რომ გათბობს“.

მოქსმა სადღაც შორიდან ქალის ხმა პო-
ეტს, ხოლო რომ მოიხედა ყვავილისქნ, იგი არ-
სად ჩანდა.

პოეტი იქვე ჩამოჯდა ზღვის ნაპირზე და
თავის თავს დაუსვა კითხვა: — რა იყო ეს? —
მოლანდება, მოჩვენება თუ ჩემი პირველი სიყვა-
რულის გახსენება?

— ო, ძვირფასო, შენი პირველი სიყვარული
შენს ოცნებაშია და მთელი სიცოცხლე გაგყვება
იგი — მოქსმა ხმა.

ოცნებაში ჩაიძირა მგოსანი.

„ზურაბ და დაჩი,

ჩემი ქონება,

რასაც გიტოვებო, ყველა აქ არი:

ორიოდ წიგნი —



ჩადებული შავი ზონარით,
თეთრი ფურცლები და წათლილი
ხუთი ფანქარი,

მაგიდაზე დევს –

ვითარც ჩემი მოსაგონარი“...

სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული პოეტი
შვილებისგან ითხოვს:

„ჩემი სამშობლოს

სიყვარულის –

დამადგით ძეგლი...

და... „უკვდავება იქნება ჩემი“.

სწორედ, ამ დროს მოულოდნელად გრი-
გალმა ტალღა კლდეს მიახეთქა და დაუმსხვრია
მას ხერხემალი. სასწაული ხმაური შეიქმნა, რა-
მაც ლრმა ოცნებიდან გამოიყვანა პოეტი, თვალი
კარგად მიმოავლო გარემოს და შეამჩნია, რომ
გონებასთან ერთად ძალაცაა საჭირო ფონს გა-
სასვლელად. რად როს ძეგლზეა ფიქრი, მე ხომ
ახალგაზრდა ვარ. – მოგვწონს შენი მსჯელობა,
– შეაწიეს სიტყვა მთებმა.



„უფლის ნებით შემწევს ძალა,
სიბრძნის ქვაზე –
აზრის ლესვის
და თუნდ იყოს კლდე პიტალო,
რწმენის ხნულში –
სიტყვის თესვის...
მიტომ უნდა აიტანოთ –
ქედმაღლობა ჩემი ლექსის.“

თატა ღიოსპურელი
ნაწყვეტი წიგნიდან – აღქმა ანუ
საოცრებათა სამყაროში

გაგრძელება შემდეგ ტომში



მნათობები

მიმწერიდან –

დილამდე რომ,

ცას და ნათელს კიკინებენ

მნათობები –

არის უფლის „ცხორები“,

მათ არასდროს

უცხოვრიათ,

ქვეყნად ჩვეულ ცხოვრებით.

1969

ნატშიშსალი

შავი ღრუბლების –

შავი საცრები,

დამის ნისორზე წვიმას გაცრიან,

გაცრთება ელვა –

სამხრე ჰუსარის,

გამთენისას გადაბუბავს ცას

ვარსკვლავები,

დარჩება დილას –

ნატისუსალი.

1963



პირვენი

სამჯელის ხმაზე ეწვოდა
სხეული...
ისმოდა გოდება –
გოლგოთის თხემიდან.

და...

შორი-ახლო
თავლახვეული
იდგა და დმერთკაცს –
ვერაფერს შველოდა...
ტიროდა თემიდა.*

1963

* თემიდა (ბერძ.) – მართმსაჯულების ქალღმერთი.



განალები და ქარდები

სხედან დამის საბუდარში,
დამეები,
ისე როგორც,
ყვავ-ყორნების ბახალები
და ქარდები.
დაჭბერს ჟამი...
და ყოველი,
გაჟქრება და
განქარდება!!!

2014



გათხვება

სადღაც წყვდიადში მამალმა
იყივლა დილა და...
ხმა გაკმიდან...
და... მიწის ბელტების
როს აწყდა ჩოჩქოლი,
მზემ გადმოიხედა
ცის ოქროს –
სარკმლიდან.

1955



სამშობლო

კავკასიით გადმომდგარი,
ოქროსრქებმომტვრეული
მზე – თითქოს ირემია...
მე,
სამშობლოს წართმეული,
გზიგარ შავი ზღვის კარად,
და...
ვგოდებ სასოწარკვეთილი,
ისე, როგორც იერემია.

1993



ზღვები

ზამთრის დღეები მთებს,
და მწვერვალებს
წყალ აწყურებენ...
ცას აშიებენ...
თუმც დაკანკალებს ცაში ელია.*
გაზაფხულზე კი გამხდარი
ზღვები.
ვით ომში წასულ ღვიძლ
ნაშიერებს –
მდინარეთა ჯარს
ისევ ელიან...

1990

* ელია (ბერძ.) – ელვისა და წვიმის ღმერთი.



არყოფნა

ცოცხლებს რომ გვაჩვენონ
მტრის ხატი,
და სოფლის სივერაგის ნაყოფი, –
წამს მოფრინდება
არყოფნა:
გამკრთალი ელვის სისხარტით,
წიტის – იაქე თვალით და
არწივის –
კაუჭა ნისკარტით.

2019

ორი მბზაგრი

(ვარიანტი)

ღია ხვდებათ მათ კარები...

წამით აღარ ეკარება

შარას ბინდი:

ერთი არის „ხოგაის“

და,

მეორე კი –

„ხორგაის*“ მინდი.

1996

* გაესა ეგრისელი – ხობის რაიონის ხოფელი პირველი
ხორგადანაა.

პანონი

„პანონი რა შავქად გინდა,
როცა ქვეყნის სათავეში
არამზადები სხედან.“
ჰერაკლიტე ჰეფესელი

ყველას უნდა ახსოვდეს:
გლეხს,
მუშას და
მეფესაც,
ოს, რაც ათასეული
წლის წინ უთქვამს
ჰეფესელს.


1971



ყორანი

ქვეყნად ბევრია
მოსაგონარი,
რომელიც მუდამ უნდა გვახსოვდეს:
კითა,
ედგარ პოს
შავი „ყორანი“,
სიტყვა – „ლენორ!“
და „აღარასოდეს!“

1964



მხედა

ერთად იშვნენ და ორივე,
არის ერთი დედის
ნაყოფი:
(ერთმა ძმამ თუმც სახე იცვალა!!!)
სიცოცხლე –
სიკვდილის არის
ტყუპისცალი,
ისეგ, ვით ყოფნა და
არყოფნა.

2019



ალგოს ხე ხორბის ღამებაზე

დამბაზე ტანაშოლტილი
დგას ალგის ხე,
ვით ქალწული,
ხარობს...
მოსვლას აღარ ნაწობს.
ზოგჯერ —
ცისკენ მხრებს
აწურავს,
ჟელყელაობს და....
ნარნარობს.

1953



ცა კოლეჯი

(ვარიანტი)

მოვა ჟამი კისრისტებით,
შენი ყოფნის ცას
მოხურავს.

და დაგიგდებს მთვარეს –
ნიშად.

მერე ელვით –
ცა კოლეური,
გვარს –
„ეგრისელს“ ჩაინიშნავს.

2019



მზის ჩასვლა

დღე სულთმობრძავი მიუყვება
ზვირთთა იაურუსს...
და მიაცილებს მწუხრი
შავი ყარაჩივით...
რა ქნას,
დილამდე მან უმზეოდ,
უნდა იაროს,
ასეთი არის მისი
არჩივი.


1970



სამართალი, უსამართლობა!!!

თუმც გვიან,
მაგრამ მაინც
ჩახვედი,
ისე, ვით ზღვაში მზე საღამოსი.
თან მიგყებოდა
გოდება და... ლოცვა მამათა...
უსამართლობას შენ გახადე
ოქროს სამოსი
და ჩააცვი საწყალ
სამართალს.

2019



პრილი

„თებერვალი დადგაო,
ხეში წყალი ჩადგაო.“
ხალხური

თებერვალი აღვიძებს და
მარტში ია თვალებს ახელს,
მაგრამ შენ კი აპრილს სწორედ,
გედარ ურჩევ ნამდვილ სახელს,
ისე, როგორც
„კოლხურ ფსალმუნს“,
ვერ უძებნი საპირწონეს.

2018



* * *

ვარსკვლავთა სასაფლაოზე
მთოვარე იდგა ცაცხვივით,
ტოტზე კი ციცქნა
ღრუბელი,
იჯდა, ვით ყვავის ბახალა.
და ელვის თვალის
ჩაკვრაზე,
დააცემინა ცამ ცხვირი,
მეხმა კი გადიხარხარა.

1964



გორდიას პვანძი

როცა ჭრიალი მიწყდა
მზის ანძის,
მზის შვილმა ლოცვით,
მზე ვახსენე.
და მერე გორდიას კვანძი,
მაკედონელმა გაჭრა!!!
გახსნით კი...
მე გავხსენი.

1993



შიგნები

მარადისობის სარკედ მდომელი,
როცა მოკვდები გვიან
თუ ადრე,
დაობლდება შოორეული
გზა – ოცნების.
და ვით იტყოდა ალექსანდრე
მაკედონელი,
დაგრჩება წიგნები:
„ბრძენთა გაოცების.“

2019



ქართლი, გახეთი

ბედნიერია კახეთი,

და უკვდავია ქართლი!

ორივ –

მზით დასადაფნავა:

ბოდბეს გვაქვს –

ნინოს საფლავი,

მცხეთას კი –

ქრისტეს კვართი.

2000



၆၀၆၁၆၅၇၀

မျှမှုမြတ်စွာမာ နှမှုမြတ်စွာ
နာယွှေ့ဝါး –
အရှင်အသံလှိုင်ဝါး!
မျှပါ ကျေးမှု၊ ဂိုလ်နှင့်စွာ၊
မာကြာမ စွဲမ ဖြတ်ချော်
ဖြတ်ခွာ...
ဗျာမိန္ဒၢာ ဖာ...
စာခိုက်ရှိစွာ ဒုက္ခန်း ဒုက္ခန်း
ဒုက္ခန ဂားဒုက္ခန ဇူနိုင်လ၏ ၆၆၅၇၀.

2019



მზეს, მთვარეს და
გარსპოლავთ ხშირია

ლაზ-კოლხები ქვეყნად ოდით,
ეკლესიებს და
მონასტრებს,
მათ უგებდნენ მთაზე ურთას,
ვინც თვალები აუხილათ.
თაყვანს სცემდნენ მზეს,
მთვარეს და ვარსკვლავთ ხუთოა,
მსახურობდნენ დმერთს –
უხილავს.

2001



სამყარო

„სამყაროს გენიოსები ცვლიან...“

ვაჟა ეგრისელი

მშობლიური მიწიდან –

ნაშიერი ადამის,

ერთად უნდა აყარო!!!

ეს, ვით სწადდა

ნაბუქოდონოსორის ძე – ნენცარის!

გსურდა!..

მაგრამ სამყარო,

შენც ვერაფრით შეცვალე!

2019



ტომბა პოჩი*

გაზაფხულზე კი ზამთრის სითეთრე,
თითქოს ცვილდა ტოტს
აკაციის.
შენ ფეხშიშველი და
სულ ნინგელი,
ციო მოფრენილი,
ვითა ფრინველი,
მას შეცემოდი –
ტომბა კაცივით.

1954

* ტომბა კოჩი (მეგრ.) – დრმა, ბრძენი კაცი.



აგე*

გუბაზ, მეფე სულ სხვა იყო,
მით კოლხეთი აყვავდა, და...
პონტოც უფრო გალამაზდა.
აღარ სჯიდა აკე მონებს!
და ბაძავდა ფარნავაზს და
ალექსანდრე
მაკედონელს.

1963

* აგე – კოლხეთის მეფე (V ს.)



06

წარსულიდან გადმოსულს
ენგურად და
არაგვად.
ქართვლის მთები შიშობენ,
რომ არავინ არ აჰგვას,
ალბათ კოსმიურია,
რადგან დედამიწაზე
ის,
არავის არა პეტა.

2018



როქსანა

ხსოვნის სანთლებით –
სულ შოორეულ წარსულს
შეუვლის,
ამაზე მეტი რა ქნას მგოსანმა?!
ორი თუ სამი ათასწლეულის,
მერე,
რომ გააცოცხლა როქსანა.*

1991

* როქსანა – მაკედონელის უულამაზების ცოდნი.



ნიანძის ცრემლები

ადამის ძეს თუ ნაშიერს,
ციო დაანათლა
განგებამ,
წესი მხეცის და ნადირის:
და ისიც,
როგორც ნიანგი,
ჯერ მოკლავს...
მერე დატირის!!!

1979



მეზე ფეროსი

ინდიელთა მენცარებმა,
თავის ღმერთკაცს –
მეფე ფეროსს,
ურჩიეს, რომ მაკედონელს
შეერჯინოს და...
სიკვდილი,
ვით სიცოცხლე შეიფეროს.

1965



წუთისოფელი

ცისა და მიწის ყველა კუნძული,
მირიადჯერ აქვს მთვარეს
მოვლილი...
ახლა კი ლია დარჩენია ლამის
კარები.
და გაზაფხულზე მოსულ თოვლივით
წუთისოფელი –
ეზო-ზეო მიიპარება...

1980



ორი ჯოჯოხეთი

(გარიანტი)

მომავალშიც,

წარსულშიც,

ბრუნავს კუპრის მორევი –

(ჩვენი ცოდვის ნაყოფი!)

აქეთ – ჩვენი კოლხაა

და იქით კი ხეთია!

ყოფნაცა და არყოფნა,

სიცოცხლეც და სიკვდილიც,

ორივ ჯოჯოხეთია!

1969



0ქ – აჭსშა

და

აქ – რსი

ექოზრება საქართველოს

იქ – აფსუა

და აქ ოსი!!!

ხმალზე ხელი ამოდ გიძევს!

და იყო დრო,

კით შავლებო,

შენ ბაძავდი ძლევამოსილ

ალექსანდრე მაკედონელს –

ამონის* ძეს.

1993

* ამონი – ძველი ქაფიატის დმერთი.



ଶାଶ୍ଵତ ପଦାଳୁଷ୍ଟ

ଶିଖରାଗଜ ଓ ଶୁଣେ

ପାଦନିଲା ଆଶେତୋ?!

କାହାର ରଥ ପାଦାରିବେ!

ମାଧ୍ୟମର ଲମ୍ବରତି ମିଶ୍ରଦାଙ୍ଗସ

ମାତ୍ର,

ପାଦ ମାଧ୍ୟମରନିଲମ୍ବା

ଶିଖ-ଶୁଣ ଉପାଦାନ

ଶାଶ୍ଵତ ପଦାଳୁଷ୍ଟ

ମହାପାଦାଳୁଷ୍ଟ ପାଦାରିବେ.

1993



შევა,

ლება

კოლხეთის დიდი წარსულიდან
მოდის ფაზისი,
გითარცა განძი უძვირფასესი –
ყველა წევლის,
ყველა ღებულის.
რაჭა-ლეჩხუმი მიტომ დარჩა
„აღუწერელი“,
და საქართველო „აუდებელი“.

1968



* * *

ცისკენ ჩუმად მომზირალი,
ყველა მთა და
ყველა ბორცვი,
ქრისტეს „ამაღლებას“ ერთვის...
და...
ადყელნილ –
ყველა ლოცვას
ელგით ჩაინიშნავს –
ღმერთი.

1999



სიკვდილის აჩრდილი

სკვითის ისრის პირივით

მთვარე ცაში გაჩრილი,

ვარსკვლავების არის მტვერი

და...

ამქვეყნად ყველაფერი,

აქ არყოფნის –

არის ლანდი

და სიკვდილის აჩრდილი.

2019

ნაგუჯოდორ გაგილონელს

მარტო სარდლებს კი არადა,
აღმერთებდა მეფე
მონებს,
მიტომ ათასწლეულების
მერე,
ბრძენი ბაბილონი
ცაში ხსოვნის ვარსკვლავს უნთებს –
ნაბუქოდორ
ბაბილონელს,

1965



მგზავრობა შსასრულობაში

დედამიწაზე შეყვარებული,
ახლოს მოჩანდა მთვარე –
უტოლო,
და ვარსკვლავების შეთვალული
ყურძნის მტევანი.
ხოლო იქით კი მარტოობას
წუხდა პლუტონი*,
და უფრო იქით...
ხელს მიქნევა გზა-უტევანი.

2019

* პლანეტა – პლუტონი მზიდან ექვსი მილიარდი
კილომეტრითაა დაშორებული.

„მე გარ პატი ბაბილონელი...“

საიდანლაც ხმა ისმის:

— წარღვნას გადარჩენილი,
ვინც რომ დღემდის მოვიდა.

და ისეც ბეც სამყაროს —

მითებით რომ აბრმავებს!

მე ვარ

ბაბილონიდან —

ქალდაველთა ნაგრამი.

1963



სიბილა

არადირს სოფელი!
ო, ამდენ წვალებად,
ტანჯვად და
სირბილად!
ჯობს გარდაცვალება,
უფლისმხევალო –
სიბილა!*

2019

* სიბილა (ბერძ.) – ძველ საბერძნეთში და რომში წინასწარებულებები ქალი.



N-ს

ზოგზოგები სიკვდილს არა,
კაცს სიცოცხლეს
აზარებენ!
„იმეტებენ“, ვით იუდა,
ფარისევლურ ამბორ-კოცნიო
ჯვარს აცვამენ
მერე ცოცხლად,
ვით იქსო ნაზარეველს.

2019



გზა ღრიანგალის

ცა ყინვითაა გადახრუპული

და ტანზე ღრუბელ

შემოხეული,

შიშველ-ტიტველი –

ელვა კანკალებს...

აცოენილია თანავარსკვლავედს

და ადარ იცის გზა –

ღრინჯალის.


1968



ბაბილონი

ხსოვნაში დგას ბაბილონი,
დრო მტრობს „უფლის
ნახვად ნაგებს!“
კლიტე ადევს ბრძენ ქურუმთა,
ნეტარმეტყველ
ოქროს ბაგეს.
მისნებს – გონი წარმოევიათ,
და სიტყვები –
მოქადაგეთ!

1971



მაცხოვარი

სანამდე ცა მეხთა-ტეხად
ღრუბელთა რბოს
კვლავ აშლიდეს!
მანამ მძვინვარ ქარს აურვებს,
გულამდვრეულ ზღვას ამშვიდებს
და მორჩილებს მთა და კელი.
გაღმა ნაპირს –
წყალს გადადის,
ფეხისგულიც არაქვს სველი!

1963



ବୋଲି-ତାମରିଷୀ

ବୋଲି-ତାମରିଷୀ ଏବଂ ଉଚ୍ଚମିଳିଶି ମଦ୍ଦଗାରି,
ଜୀମତା ଫାରଲ୍‌ଗନାମ
ଗୀର ଧାର୍ଯ୍ୟାରା!
(ଅତାଶର୍ମିଲେଖବୀ ଗାନ୍ଧୀଙ୍କିରଣାମାରିବା
ମଧ୍ୟରେ ଆବଲାପ ଉଦ୍‌ଦେଶ୍ୟରେବେ
ବୋଲି-ତାମରିଷୀରେବେ:
ଥାର୍ଥମାରି,
କୁଣ୍ଡଳୀ,
ଏବଂ ବାହ୍ୟାରାମ!

1959



0რმის ნახტომი

ჰელიოსის გზაზე მავალს,
ასე მოგდგამს –
გვარ-ტომიდან,
მემკვიდრე სარ ღირსეული
და გხმობს –
ირმის ნახტომიდან,
ანდრომედეას ნისლეული.

2003



მაკედონელი, პოროსი

მაკედონელს,
 ვით ომის ღმერთს,
 ომელიც არ ეძებს ოროს.*
 დარჩა მითად ის „პატივი“,
 რომ მიაგო,
 მასთან ომში დამარცხებულ –
 ინდოეთის მეფე
 პოროსს.

1961


* ორო (მეგრ.) – წრდილი



მზე

ასე ყოფილა ოდიდან,
ამ წუთისოფლის შარაზე,
ვინ მართალს ეძებს,
ვინ მტყუანს..
და ამ ძებნაში
ცისკარმა,
წყვდიადით მოსილ დამიდან
გზე –
მაღლა ამოიტყუა.

1989



პედისწერა

ცხოვრება უღრანია და
ეწერი...
დღეებიც სულ ასე წავიდა...
დაგდევს ბედისწერა,
არ გვტოვებს
წამითაც,
და ისმის მოთქმა და გოდება –
ცეცხლის და
გვჰენის მომდები...

2019



გარსპოლავებით დასახლებულ
ცის სიწმინდეს,
სიხალისეს
ტოვებ... ათასს უვლი ზღვებს
და შენ ისევ ჭვრეტ და
ისმენ,
გონის თვალს და სულის ფრთებს.

2003



სამება

სამი იყვნენ...

და „სამება“,
ლოცვის ცრემლში აზილა,
სიყვარულით მოსილმა –
ორივე ძმამ ნოსელმა:
ბასილმა და გრიგოლმა,
მათთან ერთად მესამემ –
გრიგოლ ნაზიანზელმა.

1977



(ხუმრობით)

უკვდავებას შემოხვდები

ისე,

როგორც შენიანს.

მთვარე არა,

მზე მოგელის.

და... ფრთებს გაშლის,

გით ნობელის,


ეგრისელის პრემია.

2014



ძილი აღარ ეკარება –
ხსოვნით დადლილ დამის
თვალებს,
ცა ბნელს არ დაერიდა.
უმხედრებო ცხენთა ჭიხვინს,
შებლ შეკრული უსმენს
მოვარე,
მარაბდის დიდ გელიდან.

2005



დოლმენებს და მეგალითებს

შენი ყოფნის ცის ოგვაჯეს¹

მზე კვლავ აზის,

როგორც მოჭვა²

და ჩეკს ლეგენდებს და მითებს,

მიტომ ბორჯი³ ფეხს ვერ მოჭამს –

შენი სიტყვის –

მენიპირებს⁴,

დოლმენებს⁵ და

მეგალითებს⁶.

1981

1 – ოგვაჯე (მეგრ.) – საბუდარი

2 – მოჭვა – (მეგრ.) – კრუხი

3 – ბორჯი (მეგრ.) – დრო, ჟამი

4 – მენიპირები – მიწაში ჩასმული მაღალი ქვის სვეტები

5 – დოლმენები – ხუთი უზარმაზარი ლოდისგან

გაკეთებული „ბინა“

6 – მეგალითი (ბერძ.) – დიდი ქვა

მეცხრე ციდან გადმოსული –
აბრეშუმად და
აზიზად,
ყოველ საღამოს და დილით,
თავზე ოქროს გადგას ჩრდილი,
შენი მზის და
მზეთამზისა.

1974



ათონები*

აპა, საგალობელი,
წვიმა გადავიწყების,
რომ არასდროს აწვიმდეს:
„ბალავარის სიბრძნეს“ და
იოანეს,
ექვთიმეს და
გიორგი მთაწმინდელს.

1969

* ათონის მონასტერი (საბერძნები) –X ს.
ბალკანეთის ნახევარკუნძული



სტუმრად მავალს გზას მიბნევდა,
ხიდან თვალი გარეწარის.
განა ტანზე ტყავი მეცვა!
მე დახშული გავხსენ კარი,
ქრისტეს ქორწილს
დავეხწარი.

1973



ვით მითიურ წინაპარს,
მთვარესავით გახურავს
თავზე ქუდი ნამუსის.
მიტომ დედამიწაზე –
ვერა და ვერ ეტევი
იცვამ ნათლის სამოსელს,
ვით ანდრია კრეტელი.

1979



მნათე

განთიადის ზარებს რეკავს,
 სანთლებს ანთებს,
 ვითარც ლოცვას,
 მაღლა იწევს ზეცის ჭერი,
 მაგრამ მაინც მნათე ცდება,
 რადგან აღარ უყვარს მტერი
 და წუხს მოსეს –
 „ათი მცნება“.

1981



აქ ედემად გვეჩვენება
ეს საწუთრო –
ჯოჯოხეთი.
მაგრამ ქვეყნად არვინ იცის,
რანაირი ჩანს იქიდან,
რადგან ყოფნას
არყოფნა სდევს,
გითარც არწივს –
კირკიტა*.

2005

* კირკიტა – ფრინველი



ორი დიდი ნეტარი

სამოთხისას აღებენ

და კარს ჯოჯოხეთისას, —

უფლის რწმენით კეტავენ,

რომ სიცოცხლე მოდიდდეს:

ორი დიდი ნეტარის —

ბრძენი ავგუსტინეს და

ბრძენი თეოდორისტეს.

1981



ტალღები –
დელვიოთ გალეშილები,
მშიშარ ნაპირთან დაყრილან
ოხრად.

და აღვიძებენ მძინარ გლისერებს.
შავი ზღვა მაშინ უმატებს
ოხვას,
როს აიეტის ასულს იხსენებს.

1969



შენ ხარ ალიგიერი, –
ჯოჯოხეთში ნამყოფი
და მიწის მტვრის დამგმობი.
მდგარი ყოფნა –
არყოფნა,
გოგისა და მაგოგის.

2003



დედამიწა კი სულ სხვაა,
მოკვდავთ მზის აკვანს
იქ გვირწევს,
საიდანაც ჩვენ ვიწყებით.
სიცოცხლე ხშირად
გვიფიტყებს,
მაგრამ სიკვდილს არასოდეს
არ ვაგიწყდებით.

2012



15 მაისი

წლები,

სიკვდილს ნელ-ნელა გაჩვევენ

უპირო ყამთასვლით შეკრული.

თხეუთმეტ მაისს კი –

დღეს შენი გაჩენის,

აღნიშნავს თბილისი,

ვითარც რომი დაბადებას

ღმერთკაც –

მერცურის.

2015



მერქ,

უამს მიმწუხრისას,

უფლის ჩუმი ბრძანებით,

ცის მწვერვალზე ატანილს,

ჩემი ცანი ცათანი,

უცხოს,

არა აქაურს,

აისხამენ ვარსკვლავებს,

როგორც ძვირფას სამკაულს.

2001



ସିଦ୍ଧାନ୍ତକ୍ରେଣ୍ଡର ଓ ସିନାତଲ୍ଲେ,

ଗିନ୍ତୁ ଫାଦାଫା,

ମହିମାନଙ୍କ ନିଃ.

ଗିରୋ, ଧେନ୍ କାର ମେହାତ୍ମା,

ମାର୍ଗୀର୍ଥ ମନ୍ଦିରର ଜୀବା,

ମାତ୍ରାର,

ମାତ୍ରାର ଜାତମନୀବ.

1999



არ ეკარება თვალებს რული –
მოელი წარდვნას და
წყალდიდობას,
და ვითარც დავით –
„სჯულის კიდობანს“,
შენ „იქმენ ნათელს*“,
გარს როკვით უვლი,
თითქოს და იგი არის გრაალი
და ცა დაგცერის
მელქოლას თვალით.

2014

* „იქმენ ნათელი“ – პოეტის ათასგვერდიანი
ერთტომეული (1993 წ.)

ხელებით გიპყრია ზესკნელი,

ზე –

სამეუფო ცათანის

და ნიშნად მეცხრე ცის პოვნისა.

სამყაროს შვიდსა სვეტს,

მერვე შენ შეუდგი –

„სიმტკიცედ სოფლისა ყოვლისა“

(მინჩხი).

2014



უფალს ლოცვას აღუვდენ
“კოლხური ფსალმუნებით“ და
ნესტვითა¹ და წინწილით²,
ბობლითა³ და ათძალით⁴,
აზობითა⁵ და ორდანით⁶
და.... ხარობს ცის ტაძარი:


1978

1,2,3,4,5,6 – მუსიკალური საკრავები



ჰელიოსის ნაშიერს –
დედა რეა-კიბელა,
თავის მადლით გმოსავდა,
ოქროს ტახტე მჯდომარეს,
ვითარც მგოსანს –
მგოსანთა.

2003



უხილავი სამყაროს,
ჩუმი იდუმალებით
ნათელსა გვენს შენ უფრო
და გდევს მისხი-მისხივით.
შენში ორივ მეუფობს
მზეთა მზე¹ და
მზის სხივი².

1977

1 – მზეთა მზე – მამა ღმერთი
2 – მზის სხივი – ძე ღმერთი



წვიმები სველი თითებით –
ღრუბლების სარკმელს
აღებენ.
გრიგალმაც ფრთები გაშალა
და ააყვავა ტალღები
ნარეკალად და
ნარშავად.

1966



(ინგლისური)

ჯორჯ ბაირონს ელოდება
და წარსულის ბორგავს ქარი.
მწუხარებით ჩანს მოსილი
მოვარე,
მერი ჩაგორსივით
ენსლეის ლურჯ
სერზე მდგარი.

1983



ცით სიცოცხლედ ჩამოსული,
მღელვარ ზღვიდან დარჩა წვეთი,
მზით –
სხივია დარჩენილი,
მაინც ვენახს თესლს თხოვ კეთილს,
იოანე ანჩელიფით.

1979



ისტორიის „მეჯლისში“,
ვიდაც ძალად წვეული,
დავიწყების დანით კლავს:
ოცი ათასწლეულის
მქონე –
ზანა-დალის კლანს*.

1998

* „ევროპის „დის“ კლანებიდან უძველესი და უმ-
დიდრესია ქსენი-აზანას ან ქართული მითოლო-
გიით „დალის“ კლანი, რომელიც ჩამოყალიბდა
კავკასიაში (კოლხეთში) 25 ათასი წლის წინათ“.
პროფ. კლიმენტი შელია



თუ წეთისოფლის შარაზე –
 მოულოდნელად შებინდდა,
 ჩემო,
 წარსულთ ნუ მისტირი.
 ალბათ ოდესმე,
 დავიწყების უღრანებიდან,
 ვიდაცა ჩვენს სულს
 გამოიხმობს აქ,
 სპირიტივით.

1986



“დაუჯდომელი” და

“დავითიანი”

უკვდავების შარაგზაზე,
სიცოცხლე და
სიყვარული,
ზოგს სიკვდილთან დავით მიაქვს.
(ზოგი აწარმოებს ომებს!)

მაგალითად: „დაუჯდომელს*“,
და დავითის „დავითიანს“.

1981

* „დაუჯდომელი“ – „აკათისტო“
(ბიზანტიული პიმნოგრაფი, VII ს.)



ცეცხლი დაეშრიტებათ
ვარსკვლავებს და
კაჟებსაც,
წავლენ საუკუნენი...
მაგრამ იკაშკაშებს ცა –
„პოლხური ფსალმუნების“.


2005



აბერი

შენ ხარ დამურვებელი
ქარისა და
ქარიშხლის,
გიო ღვთის რისხვა – აბერე:
მოხუცს –
აახალგაზრდავებ,
ახალგაზრდას აბერებ.

2004



ნიმბად გედგა მზე –
სიმართლის,

აქ, მადლიანს, ვით არსენას.
და სამოთხე –

იქაც გელის –
შენ „კოლხური ფსალმუნებით“
და... „ჰიმნებით მიქაელის“.

2001



ოთხთა ძმათა მოზელილს,

ფერი აქვს სხვანაირი

ნათელს –

ელგის ენიანს.

მიწას,

ცას და პაერის

და ცეცხლის გვჰნიას.

2004



სნეულს კურნავ,
ბრმას თვალს უხელ,
შენ ერთი ხარ!
ვინ სხვა,
ვინ მე,
რომ ბაძავდეს ორბს –
გულოვანს.
სიყვარულის შენ ჰქმნი ჰიმნებს,
ქრისტესავით ორბუნოვანს.

1998



იგი „განუზომელი“,
ოქროცურვილ მთიების –
შემოავლებს მზეს მესერს.
და... სიშორით შემოსავს
ნემისიოს –
ემესელს*.

1977

* ემესელი – (ბიზანტიელი ჰიმნოგრაფი)



ცა –

მიწად ნაწვიმარი
და ბრწყინავენ ვარსკვლავები
ბნელში,

დამის ფესვივით.

დღე – დედაა სხივნათელი
მზეთა მზის და
მესიის.

2005



ნოსტეპი

აქა,

ნოსტე-გადაშლილი,
აქედან რა კარგად მოჩანს,
წუთისოფლის ტიალ გზაზე –
უცდომელად სიარულ ში:
ორი დიდი მამა-შვილი –
გიორგი და
სიაუში.

1983



ურწმუნოსა და უდმერთოს,
მყოფელს სხვათა ურვისა,
გზად იქიდან –
აქამდე,
ეკლოს, როგორც ურმისთვალს,
მერე ნისლებრ
განქარდეს!

2001



